



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492302717

თარიღი:27/01/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 13**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



## ა ნ გ ა რ ი შ ი

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით, ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2022 წელს ჩაატარა 9 სხდომა, სადაც განხილული იქნა 16 საკითხი. კერძოდ:

#### **27 იანვარი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

#### **24 თებერვალი -**

1. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### **23 მარტი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

#### **29 აპრილი -**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2021 წლის მე-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

## **28 ივლისი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

## **25 აგვისტო -**

1. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

## **29 სექტემბერი -**

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

## **27 ოქტომბერი -**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

## **21 ნოემბერი -**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის სხდომებზე განხილული თითქმის ყველა პროექტი მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულომ მიიღო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.